

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებლის დავით ბეჟუაშვილის ინიციატივით კომპანია „დაქრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის“ მხარდამჭერია



„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი გმირებით, რომლებიც ყოველი ჩვენთაგანისთვის უმნიშვნელოვანეს ფასეულობას - თავისუფლებისა და მშვიდობის სიმბოლოს წარმოადგენენ. მათდამი მადლიერების, თანადგომის და ჩვენი სამოქალაქო მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ უერთდება დაქრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდს- კომპანია „სილქნეთის“ ინიციატივას. მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი თავდადებული

მებრძოლების, გმირი ჯარისკაცების დამსახურებაა, რომ საუკუნეების მანძილზე შევიწარმინოთ თვითმყოფადობა. ჩვენთვის დიდი პატივია რომ გვერდში დაუდგეთ ჩვენ მებრძოლებს, რომლებიც ღირსეულად და თავდადებით იცავდნენ თავის სამშობლოს. იმ გმირებს, რომლებიც ძალიან მაღლა და ღირსებით აფრიალებენ ჩვენს ეროვნულ დროშას მსოფლიოს მრავალ კუთხეში და ასახელებენ ქართველ ერს და ქვეყანას. მტკიცედ გვჯერა, რომ ბიზნესის მსგავსი სამოქალაქო ჩართულობა მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი ერთიანი თანადგომით შესაძლებელია იმ



პრესრელიზი

მებრძოლებზე უკეთესი ზრუნვა და ჩვენი პატივისა და მადლიერების გამოხატვა ქვეყნის დაცვისა და აღმშენებლობის საქმეში მათ მიერ გაწეული ღვაწლისადმი.

„დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდს“ სათავეში კომპანია „სილქნეთი“ 2018 წელს ჩაუდგა. ინიციატივა იმ მნიშვნელოვანი წამოწყების გაგრძელებაა, რომელიც 2016 წლიდან ფონდის სახით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში მოქმედებდა და სამხედრო მოსამსახურეებს ემსახურებოდა. ფონდი აქტიურად თანამშრომლობდა ამერიკულ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან (Give an Hour, AFF – Allied Forces Foundation, Azalea Charities). „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ „სილქნეთისა“ და „საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა“ ინიციატივას 2018 წლის ნოემბერში შეურთდა. აღსანიშნავია, რომ ფონდის მზრუნველობა გავრცელდება არა მხოლოდ მოქმედ დაჭრილ სამხედროებზე, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლებში დაშავებულ ვეტერანებზეც.

კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

